მოწვევა ინტერესის გამოსახატავად

საქართველო
აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის (ხევი-უბისას მონაკვეთი) გაუმჯობესების პროექტი
სესხის # 3715-GEO
პროექტის # 49257
დავალების სახელწოდება: შესყიდვების სპეციალისტი
საიდენტიფიკაციო # KUPR/CS/ICS-03

საქართველომ აზიის განვითარების ბანკისგან მიიღო დაფინანსება **აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის (ხევი-უბისას მონაკვეთი) გაუმჯობესების პროექტისათვის.** აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად.

საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს ინდივიდუალურ კონსულტანტებს (კონსულტანტებს) ინტერესის გამოსახატად შემდეგი მომსახურების გასაწევად: **შესყიდვების სპეციალისტი.**

დავალების მიზანი

შესყიდვების სპეციალისტი პასუხისმგებელი იქნება საავტომობილო გზებისხ დეპარტამენტის შესყიდვების გუნდის დახმარებაზე საქონლის და სამუშაოების და საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვაში აზიის განვითარების ბანკის შესყიდვებისხ პოლიტიკის შესაბამისად (2017). კერძოდ, შესყიდვების სპეციალისტი დახმარებას გაუწევს საავტომობილო გზების დეპარტამენტს შემდეგი დავალებების შესრულებაში:

- შესყიდვების პროცედურების შესყიდვების გეგმისა და აზიის განვითარების ბანკის სახელმძღვანელოს შესაბამისად განხორციელებაში;
- შესყიდვების შესახებ ზოგადი და კონკრეტული შეტყობინებების, სამუშაოების ტენდერების მოწვევების, ინტერესთა გამოხატვის მოთხოვნების და სხვა დამხმარე დოკუმენტაციის მომზადებაში, საჭიროების შემთხვევაში;
- სატენდერო დოკუმენტაციის მომზადებასა და მასში ცვლილებების შეტანაში;
- ის მონაწილეობას მიიღებს ტექნიკური დავალებების მომზადებაში;
- თუ შესყიდვების პრეოცედურები მოიცავს აზიის განვითარების ბანკის წინასწარი თანხმობის მიღებას, ის განახორციელებს შესყიდვების დოკუმენტაციის ბანკში წარგდენის კოორდინირებას და აზიის განვითარების ბანკიდან თანხმობების მიღების მონიტორინგს;
- აზიის განვითარების ბანკის მიერ დასმული საკითხების დროული გადაჭრის მონიტორინგში;
- შესყიდვების გეგმების მომზადებასა და განახლებაში;
- შესყიდვების გეგმების განხორციელების მონიტორინგში;
- სამუშაოების, საქონლის და საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვების განხორციელებაში;

- მასალებისა და აღჭურვილობის შესყიდვაში;
- სამუშაოების მიმდინარეობის ანგარიშების შედგენაში;
- პროექტთან დაკავშირებული ყველა სახის დოკუმენტაციის წარმოებაში;
- ტენდერების გახსნაში და შეფასებაში შესაბამისი პროცედურების გამოყენებით;
- აუდიტის დაქირავებაში;

გარდა ამისა, შესყიდვების სპეციალისტი პასუხისმგებელი იქნება:

- პროექტის ეფექტური მართვის ხელშეწყობაში;
- გარემოსა და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის ხელშეწყობაში;
- აზიის განვითარების პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებში;

ანგარიშგება

- შესყიდვების სპეციალისტი ანგარიშვალდებული იქნება საერთაშორისო შესყიდვების სამსახურის უფროსის/უფროსის მოადგილის წინაშე;
- შესყიდვების სპეციალისტი მჭირდროდ ითანამშრომლებს პროექტის განხორციელების სპეციალისტთან;
- შესყიდვების სეპციალისტს მოეთხოვება ეფექტური, რეგულარული კომუნიკაცია საავტომობილო გზების დეპარტამენტის შესაბამის თანამშრომლებთან და მენეჯერებთან.
- შესყიდვების სპეციალისტმა უნდა გააანალიზოს შესყიდვებთან დაკავშირებული პრობლემები, იმისათვის რომ დასახული იქნეს მათი გადაჭრის გზები;
- შესყიდვების სპეციალისტი მონაწილეობას მიიღებს ანგარიშების მომზადებაში.

მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები

- უმაღლესი განათლება, უპირატესობა ენიჭება ფინანსების და ან საინჟინრო სფეროს;
- შესყიდვების პრაქტიკული გამოცდილება;
- 3 წლიანი მუშაობის გამოცდილება შესყიდვების განხორციელებაში აზიის განვითარების ბანკის ან სხვა დონორების მიერ დაფინანსებულ პროექტებში (უპირატესობა მიენიჭება აზიის განვითარების ბანკის პროექტებს);
- შესყიდვის ინსტიტუციური, ტექნიკური და კომერციული ასპექტების კარგი ცოდნა;
- გუნდური მუშაობის უნარი;
- წერითი და ზეპირი ინგლისური ენის კარგად ცოდნა (C1 დონე), ქართული ენის სრულყოფილად ცოდნა არის სავალდებულო;
- ძირითადი კომპიუტერული პროგრამების კარგად ცოდნა (Word, Excel, Powerpoint);
- ანგარიშგების კარგი უნარი.

შესყიდვების სპეილისტი იქნება საავტომობილო გზების დეპარტამენტის საერთაშორისო შესყიდვების სამსახურის გუნდის წევრი.

დავალების ხანგრძლივობა შეადგენს 1 წელს, შემდგომი გაგრძელების შესაძლებლობით.

დაინტერესებულმა კონსულტანტები კონკურსში მონაწილეობის მიზნით უნდა გადავიდნენ შემდეგ ბმულზე:
https://selfservice.adb.org/OA_HTML/adb/xxcrs/jsp/ADBCsrnFwd.jsp?sel=168556 .

დაინტერესებულ პირებს ინტერესის გამოხატვა შეუძლიათ მოცემული ბმულის მეშვეობით 2021 წლის 29 აპრილიდან 5 მაისის ჩათვლით.